№ 31 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 20 მან. ხუთშაბათი, თებერვლის 10 1921 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 500 მან., ცალკე ნომერი ყველგან 20 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 20 მან. 4-ზე გ. 15 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 500 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 260 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 600 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %, რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—89

სახელმწ. თეატრი.

ოპერა.

ხუთშაბათს, 10 თებერვალს

„კარნავალი“

მორდკინის და პოჟიცკაის მონაწილეობით პარასკევს, 11 თებერვალს „თაისი“ კვირას, 13 თებერვალს „დონ-ჟუანი“, ორშაბათს, 14 თებერვალს „გუგენოტები“. დასაწყისი 8 საათზე. 6 1—1

ტყიბულის მაღაროების კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 15 თებერვალს, დილის 12 საათზე კომიტეტის სადგომში—რუსთაველის პროსპექტი № 34, დანიშნულია

შეჯიბრება

მაღაროებისათვის საჭირო 1.200.000 ღერ სრულზომიან აგურისა და 78.000 ღერ მარსელის კრამიტის დამზადების შესახებ.

წერილობითი განცხადება შემოტანილ უნდა იქმნას დახურულ კონვერტებით.

დაწვრილებით პირობების მიღება შეიძლება ტფილისში—მთავარ კანტორაში, რუსთაველის პროსპექტი № 34 და ტყიბულში—ქვა-ნახშირის მაღაროების კანტორაში. 37 2—2

სამტრედიის საოლქო სახალხო გვარდიის შტაბი

იწვევს

მემანქანეს ქართულ ენაზე. ჯამაგირი 3,345 მან. თვეში სრული კმაყოფილებით და ტანსაცმელ ფეხსაცმელით. (უფ.) 1—1

გორის სამაზრო ერობის გამგეობა

ამა წლის თებერვლის 15-დან ქ. სურამში, სამასწავლებლო სემინარიასთან, ხსნის მასწავლებელთა მოსამზადებელ ოთხ-თვიან

პედაგოგიურ კურსებს

მსმენელებათ მიიღებიან ორივე სქესის ახალგაზრდანი, რომელთაც მიუღიათ განათლება არა ნაკლებ უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის ანუ პროგიმნაზიის ოთხი კლასისა. მსმენელთ მიეცემათ ბინა, საწოლი და ერთი ფუთი ხორბალი თვეში. მსურველნი 15 თებერვლამდის უნდა ჩაეწერონ სემინარიის დირექტორთან ქ. სურამში. 507 3—1

ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ სამაზრო საერობო ყრილობის ხმოსანთა არჩევნები მაზრაში

დანიშნულია

მიმდინარე წლის 6 მარტს

მაზრა გაყოფილია სამ საარჩევნო ოლქათ: ოზურგეთის, ჩოხატაურის და ლანჩხუთის ოლქებათ; ქალაქი ოზურგეთი, თანახმად დროებითი საერობო დებულების დამატებისა წარმოადგენს ცალკე ოლქს.

საარჩევნო უბნათ აღიარებულია თემი, ხოლო ტერიტორიით ფართო და გეოგრაფიული მდგომარეობით განსაკუთრებულ პირობებში მყოფ თემებში საარჩევნო ყუთები, გარდა თემის ცენტრისა, დაიდგმება ზოგიერთ შორეულ სოფლებშიაც.

საარჩევნო სიები უკვე შედგენილი და გამოქვეყნებულია თემის გამგეობებში.

საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებათ დანიშნულნი არიან: ოზურგეთის ოლქში—ერობის ხმოსანი ივანე ღლონტი, ჩოხატაურისაში ერობის ხმოსანი—აფთონ ცინცაძე და ლანჩხუთისაში—ერობის ხმოსანი ნიკოლოზ წილოსანი.

41 3—1 ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა.

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

იუსტიციის მინისტრისა.

2 თებერვალი, 1921 წ., № 21.

რესპუბლიკის ა. წ. იანვრის 25-ს დადგენილებით დამტკიცებულია თანამდებობაზე სამხედრო პროკურორის ამხანაგის თანამდებობის აღმასრულებელი გიორგი მიხეილის ძე ტატიშვილი 1920 წ. თებერვლის 26-დან.

№ 22.

რესპუბლიკის მთავრობის ა. წ. იანვრის 25-ს დადგენილებით დამტკიცებულია თანამდებობაზე სამხედრო პროკურორის ამხანაგის თანამდებობის აღმასრულებელი სერგო ლეონტის ძე გრიგოლია 1919 წ. ივლისის 24-დან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.

2 თებერვალი, 1921 წ., № 23.

დაინიშნა: იუსტიციის სამინისტროს ხაზინადრის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად სამინისტროს შტატ გარეშე კანცელარიის მოხელე ალექსანდრე ედიშერის ძე ჩიკოიძე ა. წ. თებერვლის 1-დან.

№ 24.

იუსტიციის სამინისტროს შტატ გარეშე დაქირავებული კანცელარიის მოხელე ანა ალექსანდრეს ასული ლაზარევა ჩარიცხულ იქმნას კანცელარიის მოხელეთ და მიენდოს მას იუსტიციის სამინისტროს ბიბლიოთეკის გამგებლობა. ა. წ. თებერვლის 1-დან.

№ 25.

განთავისუფლებულია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: იუსტიციის სამინისტროს შიკრიკი ალექსი პატიაშვილი ა. წ. თებერვლის 1-დან.

№ 26.

დაინიშნოს: იუსტიციის სამინისტროს შიკრიკად სოფიო კიკაჩეიშვილი ა. წ. თებერვლის 1-დან.

დეპარტამენტის დირექტორის
თ. ა. სიდავა.

არა ოფიციალური განყოფილება.

დამფუძნებელი კრება

8 თებერვლის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

თავმჯდომარე ამცნობს დამფუძნებელ კრებას რესპუბლიკის სენატის თავმჯდომარე ხელთუფლიშვილის გარდაცვალებას და მოკლეთ ახასიათებს განსვენებულის მოღვაწეობას და პირად თვისებებს. განსვენებული ხელთუფლიშვილი, ამბობს თავმჯდომარე, ეკუთვნოდა მოღვაწეთა იმ ჯგუფს, რომელიც ოთხმოცდაათიან წლებში გამოვიდა საზოგადო ასპარეზზე, ჩუმი, მაგრამ მეტად ნაყოფიერი მოღვაწე იყო, მან თავისი წვლილი შეიტანა ჩვენი ერის გათვითცნობიერების საქმეში. განსვენებულს, როგორც იურისტს, ბადალი არ ჰყავდა კავკასიაში, ცხადია დამფუძნებელმა კრებამ ასეთ ადამიანს ჩააბარა რესპუბლიკის სენატის თავმჯდომარეობა, მაგრამ ბედმა არ არგუნა მას დიდხანს სდგომოდა სათავეში ამ დაწესებულებას. აღსანიშნავია განსვენებულის პირადი თვისებებიც უმწიკვლო და ღრმა კეთილშობილება და უდიდესი პატივისცემა ადამიანისადმი; აი რა ახასიათებდა მას. აი ასეთი პიროვნება დაჰკარგა ქართველმა საზოგადოებამ და გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივისცეთ განსვენებულის ხსოვნას. დამფუძნებელმა კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას შემდეგ. მიღებულ იქნა წინა სხდომაზე მიღებულ დეკრეტთა საბოლოო ტექსტი.

შემდეგ გაგრძელდა მსჯელობა მთავრობის თავმჯდომარის განცხადების გამო მთავრობაში მომხდარ ცვლილებების შესახებ.

ივ. ლორთქიფანიძე (ს. რ.) აღნიშნავს ჩვენი მთავარი დებულება, რომელიც წარმოვადგინეთ მთავრობის საწინაღმდეგოთ იყო ის, რომ მთავრობა უპასუხისმგებლოა; სხვა რომ არა იყოს, თვით ის კამათიც, რომელიც მთავრობის განცხადების გამო სწარმოებს, ამტკიცებს, რომ ჩვენ არ გვყავს პასუხისმგებელი მთავრობა, ორი თვე ნახევარია რაც ეს კამათი გრძელდება და მთავრობას ამ ხნის განმავლობაში არ მიუღია დამფუძნებელი კრების დასტური ნდობა, მან არ დასვა ნდობის საკითხი. ამას თუ დაუმატებთ იმ, ახალ „რაზობლაჩენიებს“, რომელსაც ახალი „სხივი“ აქეთებს (ნ. რამიშვილი——!) მართალია ეს თქვენ არ მოგწონთ, მაგრამ მართლდება ამხ: ლ. შენგელიას სიტყვები, რომელიც მან სთქვა ზაფხულში: „ნ. რამიშვილი, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი ანგრევს სახელმწიფოს და როგორც პარტიის დიქტატორი, ანგრევს სოც.-დემოკრატიულ პარტიას და თუ ამ პარტიის დანგრევამ მოუსწრო, მაშინ აშენდება ჩვენი სახელმწიფოვო (სიცილი).

შემდეგ ორატორი ეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს და ამბობს: ნ. რამიშვილი არც პრესას და არც დამფუძნებელი კრების საშუალებით ჩვენ არ გვატყობინებს თუ რა ხდება ამა თუ იმ მაზრაში, რესპუბლიკაში. რატომ არ გვეუბნებით 3 თვეში მაინც თუ რა ხდება აბხაზეთში, ბათუმის ოლქში, რა სულის კვეთებაა იქ და სხვ. შინაგან საქმეთა მინისტრი ემყარება მარტო რეპრესიულ ზომებს; აიღეთ თუ გნებავთ მოქალაქე წვერავას დატუსაღება, რომელიც იყო კლუბის მორიგე გამგეთ. ის დაატუსაღეს სტუდენტთა საღამოს 26 იანვარს და განსაკუთრებულ რაზმში გაგზავნეს, იქ კი გაანთავისუფლეს, განა დასაშვებია ეს? განა დასაშვებია თეატრის დაბეჭდვა?

ამიტომ საჭიროა შინაგან საქმეთა მინისტრმა მეტი ყურადღება მიაქციოს შინაგან საქმეებს. შემდეგ ორატორი ეხება იუსტიციის მინისტრის მოქმედებას და ასკვნის, რომ იუსტიციის მინისტრი იმას აკეთებს, რაც მას მოეპრიანება, ის ერევა სასამართლოს საქმეებში მაშინ, როცა ეს საჭირო არ არისო.

შემდეგ ილაპარაკა **ტერ-სტეფანოვმა** (დაშნაკ.) მან აღნიშნა, რომ თემი, ქალაქი და ერობა თავის საკუთარ პოლიტიკას აწარმოებენ და ხშირად არავითარ ანგარიშს არ უწევენ საერთო სახელმწიფოებრივ პოლიტიკას. არ ემორჩილებიან ცენტრის განკარგულებას, მაგ. სიღნაღში ადგილობრივმა გვარდიის შტაბმა დაიჭირა სკოლის შენობა, ამის შესახებ მე მოვახსენე შინაგან საქმეთა მინისტრს ნ. რამიშვილს, მან მოახდინა განკარგულება, მაგრამ ის სისრულეში არ იქნა მოყვანილი.

ნ. რამიშვილი (შინაგან საქმ. მინისტრი). დამფუძნებელი კრების წევრნო! აქ თქვენ გელაპარაკეს მთავრობის უპასუხისმგებლობის შესახებ და საბუთად ის მოიყვანეს, რომ აი ორი თვე ნახევარია, რაც კამათი გრძელდება მთავრობის თავმჯდომარის განცხადების გამო მთავრობაში მომხდარ ცვლილებების შესახებ და ამის შემდეგ მთავრობას დღესაც არ აქვს ნდობა მიღებული დამფუძნებელი კრებისაგანო. მე ვფიქრობ, რომ დამფუძნებელი კრების ყველა დეპუტატმა კარგათ იცის, თუ როგორ ხდება სხვა ქვეყნების პარლამენტში მთავრობის გამოსვლის აწონ-დაწონვა. ის, რაც ჩვენში ხდება, არ მომხდარა არც ერთ ევროპის პარლამენტში. თქვენ იცით, რომ ამ კითხვის შესახებ არა თუ არ ყოფილა ისეთი ფრაქცია, რომელსაც არ გამოეთქვას თავისი აზრი, არამედ ზოგიერთი ფრაქციიდან სამმა ორატორმა ილაპარაკა. მართალია, ევროპაში ხდება დიდი დღეები, მაგრამ იქ იციან მთავრობის მოქმედების პოლიტიკური აწონ-დაწონვა და არა ქუჩაში გაგონილი ჭორების ტრიბუნაზე გამოტანა და ამაზე დახურდავება პოლიტიკური საკითხისა. ამ რიგათ ოპოზიციამ და განსაკუთრებით სოც.-ფედერალისტების ფრაქციამ ეს მთავარი საკითხი, პოლიტიკური მხრივ, მიაფუჩეჩეს და ამით კამათს თავისი მნიშვნელობა დაუკარგეს. ოპოზიციამ ძალიან კარგათ იცის, რომ მთავრობაში მომხდარ ცვლილებების შესახებ უმრავლესობის ფრაქციამ უკვე გამოიტანა თავისი მსჯავრი, დადგენილება და ეს დადგენილება დამფუძნებელმა კრებამაც უნდა მიიღოს, მაგრამ ისინი მაინც აწარმოებენ დაუსრულებელ კამათს და იცით რატომ? იმიტომ რომ უკვე მოახლოვებულია საპარლამენტო არჩევნები და მათ სურთ პარტიული კაპიტალის შეძენა. ლორთქიფანიძემ აქ განაცხადა, რომ უპასუხისმგებლობას ისიც ამტკიცებს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ყოველ 3 თვეში არ გვიკეთებს მოხსენებას იმის შესახებ, თუ რა ხდება ამა თუ იმ მაზრაშიო. მე ვეკითხები ბ. ლორთქიფანიძეს: რომელ პარლამენტშია ასეთი წესი მიღებული? თქვენ ვერ დამისახელებთ ვერც ერთ პარლამენტს, სადაც ასეთი წესი იყოს მიღებული. აქ ზუგდიდის მაზრა ახსენეს. მე მგონია, რომ მიუხედავათ იმისა, რომ ძალიან „გაბედულია“ სოც. რევოლიუციონერთა ფრაქცია, მაინც ვერ დაასახელებს იმ მაზრებს, სადაც მათ ფეხი მოიტეხეს მაშინ, როცა იქ ბატონობდნენ სოც. რევოლიუციონერები, ძარცვა-გლეჯა იყო. (ხმები: მართალია) დღეს კი იმ მაზრებში ყაჩაღთა რიცხვი საგრძნობლად შემცირებულია. არასოდეს, თვით მეფის მთავრობის დროსაც არ ყოფილა ზუგდიდის მაზრაში ისეთი მცირე რიცხვი ყაჩაღთა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ამ ჟამად არის. სხვათაშორის ბათუმზედაც იყო აქ ლაპარაკი მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცოტა ხანია, რაც ბათომი ჩავიბარეთ, იქ საქმეს გაუმჯობესება ეტყობა, ამას უცხოეთის პრესაც აღნიშნავს. შემდეგ მინისტრი აღნიშნავს, რომ არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ დამნაშავე მოხელე თავის ადგილზე დაგვეტოვებინოს და პასუხისგებაში არ მიგვეცეს ამის მაგალითს თქვენ ვერ დამისახელებთ. (ლ. შენგელია ამბულახის კომისარი?). ბ. შენგელაია, ჰკითხეთ თქვენს გვერდით რომ ზის ივანე გობეჩიას ამის შესახებ და ის გეტყვით. ამბულახის კომისარის შესახებ ჩემთან მოვიდა ივანე გობეჩია და მე მაშინათვე გავეცი ბრძანება ამბულახის კომისარის გადაყენების შესახებ (შენგელია: ის კომისარი ეხლა თავის თანამდებობაზე არ არის?).

არ არის (შენგელია სისიამოვნოა).

შემდეგ მინისტრს მოჰყავს მთავრობის დადგენილება კლუბების და ზოგიერთ თეატრების დახურვის შესახებ და ასკვნის, რომ ქართულ კლუბთან არსებული თეატრი იყო კლუბის განყოფილება და მან განიცადა კლუბის ბედით. რაც შეეხება კლუბის გამგის დაპატიმრებას, უნდა მოგახსენოთ, რომ ის დაპატიმრებულ იქნა როგორც კლუბის გამგე, როგორც პასუხისმგებელი პირი და ეს დაპატიმრება გამოიწვია მთავრობის დადგენილების დარღვევამ, რომელიც მოხდა კლუბის დარბაზში.

რაც შეეხება სიღნაღის სკოლის გვარდიის მიერ დაკავებას, მე მართლაც გავეცი განკარგულება მისი განთავისუფლების შესახებ და მე დღეს, პირველად მესმის ტერ-სტეფანიანცისაგან, რომ ის განკარგულება სისრულეში არ არის მოყვანილი, ყოველ შემთხვევაში მის შემდეგ ჩემთან არ მისულა ტერ-სტეფანიანი და არაფერი უთქვამს. ამ წვრილმანი კითხვის აქ გამოტანა მაინც არ ღირდა. მე ვაცხადებ, რომ ყოველ დეპუტატს შეუძლია მოვიდეს სამინისტროში და თუ რაიმე ბოროტ მოქმედებას აღმოაჩენს დაუყონებლივ იქნება მიღებული ზომები. სამინისტროს კარები არ არის ღია მხოლოდ იმ ვექილებისათვის, რომლებიც ბოროტ-მოქმედებას იცავენ (ს. კედია: ეს ასეც უნდა იყოს).

აქ ბ. ლორთქიფანიძემ სთქვა, რომ სოც.-დემოკრატია რამიშვილმა დაანგრია, ხოლო სოც. დემოკრატია სახელმწიფოს ანგრევსო. ამის შესახებ მე უნდა განვაცხადო, რომ სოც. დემოკრატიის მიერ დაღუპული სახელმწიფო ჯერ არავის უნახავს და ვერც ოდესმე ნახავს (ტაში). ხოლო ესერებმა უკვე დაღუპეს ორი სახელმწიფო: ერთი რუსეთი და მეორე ერევანი, როდესაც სომხეთში ვრაციანს მიანდვეს კაბინეტის შედგენა, მე მაშინვე განუცხადე კერძო საუბარში ერთერთ მთავრობის წევრს: ახლა დაიღუპა სომხეთი-მეთქი. ჩემი სიტყვები გამართლდა.

აქ ბევრს ლაპარაკობენ პარტიული კაპიტალის შესაძენათ, მაგრამ მომავალ არჩევნებში ხალხი ყველა მათ დაუმტკიცებს თუ რა უნიადაგონი არიან, ისინი და მთელ მათ გამოსვლებს სათანადოთ დაამტკიცებს (ტაში).

შემდეგ ილაპარაკეს ნ. ჟორდანიამ (რომლის სიტყვას შემდეგ დავბეჭდავთ), ს. კედიამ და ალ. ასათიანმა. შეტანილ იყო სოც. დემოკრატიულ ფრაქციის მიერ წინადადება კამათის შეწყვეტის შესახებ, მაგრამ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მარტო კ. ნინიძეა ჩაწერილიო. მაშინ სოც. დემოკ. ფრაქციიდან გაისმა ხმები: მივსცეთ ნინიძეს სიტყვა, მაგრამ ნინიძე დარბაზში არ აღმოჩნდა. ამგვარად კამათი დასრულდა კენჭი ეყარა სოც.-დემოკრატიული ფრაქციის მიერ წარდგენილ რეზოლიუციას:

„მოისმინა რა მთავრობის თავმჯდომარის განცხადება მთავრობის ნაწილობრივ განახლების შესახებ, დამფუძნებელი კრება კმაყოფილებას გამოსთქვამს და გადადის მორიგ საკითხზე".

კენჭის ყრის დროს ეროვნულ-დემოკრატებმა თავი შეიკავეს; ესერებმა წინააღმდეგ მისცეს ხმა. სოც.-ფედერ. სხდომას არ დასწრებიან.

უცხოეთი

კონვენცია.

„ტანი" იუწყება: მოსკოვში უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელმა რაკოვსკიმ და საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ლენინმა და ტროცკიმ სამხედრო და ეკონომიური კონვენცია შეკრეს. თანახმად ამ კონვენციისა ამ ორ რესპუბლიკას ცვალებათ იყოლიონ ეროვნულ თავდაცვისა, საგარეო საქმეებისა, ფინანსებისა, ვაჭრობა მრეწველობისა და გზათა მიმოსვლის საერთო კომისარიატი.

რუსეთ ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულება.

„ტანი" იხილავს რა საკითხს რუსეთ ინგლისის შორის სავაჭრო დამოკიდებულობის აღდგენის შესახებ, სწერს: რუსეთის ახლანდელმა მმართველმა პირებმა ჩაიგდეს ძალაუფლება ხელში იმ მიზნით, რომ მსოფლიო რევოლიუცია გამოეწვიათ. ამ რევოლიუციის მოსახდენათ მათ შექმნეს დიდი ლაშქარი და მოაწყვეს სხვა და სხვა ქვეყნებში კომუნისტური რაზმები. ამ ჟამათ საბჭოთა მთავრობა გამოუვალ ეკონომიურ მდგომარეობაში ჩავარდა. და ამიტომ იგი ეძებს თანამშრომლობას უცხოეთის კაპიტალისტებთან და დათმობაზედაც მიდის. მაგრამ ევროპამ უნდა უარყოს ბოლშევიკების წინადადება მანამ, სანამ ისინი არ აიღებენ ხელს მსოფლიო გადატრიალების პროვოკაციაზე.

არსებულ პირობებში, ბოლშევიკების სურვილი სავაჭრო ხელშეკრულების დადებისა ჩვენ უნდა განვიხილოთ ან როგორც სრული კაპიტულიაცია, ან როგორც მოხერხებული საშუალება მსოფლიო რევოლიუციის მომზადებისაკენ მიმართული. დე, საბჭოთა მოღვაწეებმა იზრუნონ რუსეთის ეკონომიურ აღორძინებაზე და არა ეკონომიურ დანგრევაზე. თვით საბჭოთა მთავრობის სასარგებლოთ უნდა აღიარონ ბოლშევიკებმა, რომ მსოფლიო რევოლიუცია დღევანდელ პირობებში განუხორციელებელია და რომ იგი, ევროპის დღევანდელ პირობებს სრულიათაც არ ეგუება.

სერბიელების და მთაშაველების შეტაკება.

„დეიორნალედი-ტალია" იუწყება: სერბიელებსა და მთაშაველებს შორის მომხდარ შეტაკება სკუტარის რაიონში მომხდარა. მიუხედავათ იმისა, რომ მთაშაველები შედარებით სერბიელებთან კარგათ იყვნენ შეიარაღებულნი, ისინი მაინც დამარცხდენ და გაიფანტნენ. მსხვერპლი 120 კაცს უდრის.

მდგომარეობა კიევში.

„ტანი" ბეჭდავს ვარშავიდან მოსულ კორესპოდენციას კიევის მდგომარეობის შესახებ. თანახმად ამ ცნობებისა კიევი ყოველ მხრივ აჯანყებულებით არის შემორტყმული. აღმოსავლეთით აჯანყებულებმა ვასიკოვი და რადომისლი დაიკავეს რალენკოს რაზმებმა დაიკავეს კიევთან 25 ვერსტის მანძილზე მდებარე პოზიციები, უკრაინელები დაუნდობლათ ჟლეტენ ბოლშევიკებს.

ირლანდიაში.

სინფეინერების წარმომადგენლებმა ინახულეს ლოიდ ჯორჯი და მასთან ირლანდიის მდგომარეობის შესახებ ისაუბრეს. ლოიდ ჯორჯმა კატეგორიულათ განაცხადა, რომ იგი მზათაა წავიდეს ყოველ გვარ დათმობაზე მაგრამ თემთა პალატა წინააღმდეგია ირლანდიის რესპუბლიკის ცნობისაო. ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ დიდ ბრიტანეთს შეუძლია მხოლოდ ირლანდიისთვის ავტონომიის მინიჭება.

უმუშევრობის საკითხი.

„ტაიმსი" იუწყება: იანვრის 11 შესდგა კრება ტრედ იუნიონთა საპარლამენტო კომიტეტისა და ინგლისის მუშათა პარტიის აღმასრულებელი კომიტეტისაო. კრებამ განიხილა უმუშევრობის საკითხი. ამ კრებაზე გამოირკვა, რომ მუშათა პარტია უარს აცხადებს მთავრობასთან ერთად მუშაობაზე და მასთან ერთად უმუშევრობის წინააღმდეგ მიმართულ ზომების გამომუშავებაზე. ამის გამო მოსალოდნელია გამოქვეყნება იმ მიწერ-მოწერისა, რომელიც არსებობდა შრომის მინისტრსა და შრომის გაერთიანებულ კომიტეტის შორის თათბირმა დაადგინა სამუშაო დღის შემცირება, რომ მისცეს ამ გზით საშუალება უმუშევარ მუშებს დაიკავონ ადგილი სხვა და სხვა საწარმოვო დაწესებულებებში. ამასთანავე შესდგა თათბირი გაერთიანებულ მრეწველთა საბჭოსა და მრეწველობის წარმომადგენლობის შორის. მთავრობის წარმომადგენლებმაც სამუშაო დღის შემცირება და ჯამგირების დაკლება მოითხოვეს. ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს მუშებმა და აღნიშნეს, რომ მათ ისედაც ძლიერ მცირე ჯამაგირი ეძლევათო.

ბრიანი აღმოსავლეთ პოლიტიკის შესახებ.

ბრიანმა 20 იანვარს დეპუტატთა პალატაში წაიკითხა დეკლარაცია აღმოსავლეთის პოლიტიკის შესახებ. დეკლაციაში ნათქვამია „აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა განსაკუთრებით საყურადღებოა საფრანგეთისთვის. მოკავშირეთა შორის აღმოსავლეთის გადასაწყვეტ საკითხში ერთი დადებითი აზრი არსებობს. მოლაპარაკება მიმდინარეობს საერთოდ მეგობრულ ტონით. ჩვენ სრულიადაც არ გვავიწყდება რომ რუსეთმა რევოლიუციის დასაწყისში დიდი მსხვერპლი მოუტანა კაცობრიობას. რუსეთმა ისე გულწრფელად დაღვარა სისხლი რომ ჩვენ არ შეიძლება არ თანაუგრძნოთ, მაგრამ ჩვენ როგორც სხვა სახელმწიფოებს არ შეგვიძლიან ვიცნოთ საბჭოთა მმართველობა. ჩვენ რუსეთთან არ აღვადგენთ დამოუკიდებლობას და საერთო ურთი ერთობას მანამდე ვიდრე მოსკოვში არ დამყარდება ისეთი წეს-წყობილება რომელიც სრულიად შეფერებული იქნება რუსეთის ხალხის ცხოვრებასთან, ბალშევიზმი რუსეთის საქმეა, რამდენადაც ეს შეეგუება მას და დარჩება თვის კანონიერ საზღვრებში და განაგებს თვის საქმეს როგორც ამას უკარნახებს რუსეთის შინაური ცხოვრება, მაგრამ ჩვენთვის შეუძლებელია და მიუღებელი რომ რუსეთმა გადმოლახა მოკავშირეთა და სხვა სახელმწიფოთა საზღვრები და მოისურვოს თავისი პოლიტიკის დამყარება.

დეპეშები

(საქართველოს დეპ. სააგენტო).

ფრანგული ცნობები

კომუნიზმის წინააღმდეგ.

ალზაში ტარნის სოციალისტთა ფედერაციის კონგრესმა 35 ხმით 28-ის წინააღმდეგ უარი განაცხადა კომუნიზმის აღიარებაზე და უარყო ალბერტ ტომას წინადადება ტარნის დეპუტატის გადადგომის შესახებ.

განხეთქილება ბალშევიკთა შორის.

თანახმად რუსეთიდან მოსული ცნობებისა ბალშევიკთა მართველ წრეებში განხეთქილება თანდათან იზრდება. ლენინს, რომლის პოლიტიკა თანდათან უფრო ზომიერი ხდება, მხარს უჭერენ უმთავრესად ზინოვიევი, კალინინი, კამენევი, ლაზოვსკი და პეტროვსკი. „კრასნაია გაზეტა" გამოხატავს ამ ჯგუფის შეხედულებას. ტროცკი, რომელიც არ მიდის არავითარ დათმობაზე, ეყრდნობა ბუხარინის ჯგუფს. „დემოკრატიულ ცენტრალიზმის" მომხრე ბალშევიკები მოითხოვენ, რომ მათ მომხრეთა უმეტესი ნაწილი არჩეულ იქმნას, როგორც კომისართა, აგრეთვე ეკონომიურ საბჭოში, „პრავდა" იუწყება: მოსკოვის აღმასრულებელმა კომიტეტმა ლენინის წინადადებას მისცა 22 ხმა და წინააღმდეგ კი მხოლოდ 9.

აღმოსავლეთის საკითხი.

გაზეთი „ჟურნალ დე-დება" სწერს: ლონდონის კონფერენცია უეჭველათ უნდა შესდგეს, რადგან უნდა განიხილონ ახლო აღმოსავლეთის საკითხი და გადასინჯონ გერმანელების თანდასწრებით ის საკითხი, თუ როგორ მოიყვანონ სისრულეში პარიზის დადგენილებანი; თუ გერმანელები არ გააგზავნიან დელეგატებს ლონდონში, ცხადია, რომ ლონდონის კონფერენცია სავსებით მიიღებს პარიზის დადგენილებებს. ეს ერთსულოვნება გერმანიის მთავრობის, რომელიც ლოიდ-ჯორჯის და გრაფი სფორცას სიტყვების შთაბეჭდილების ქვეშ არის, დიდ საფიქრებელში ჩააგდებს. მაგრამ საეჭვოა, რომ გერმანიის მთავრობამ დაუჯეროს მემარცხენე პარტიების წარმომადგენლებს და არ გააგზავნოს თავისი დელეგატები ლონდონის კონფერენციაზე.

გერმანული ცნობები

ბელგიის უფლებები.

ბელგიის მთავრობამ ბერლინში გააგზავნა ნოტა, სადაც იგი უარს აცხადებს ვერსალის ხელშეკრულების ძალით ბელგიისადმი მინიჭებულ უფლებაზე გერმანელ მოქალაქეთა საცხოვრებლის ჩამორთმევის შესახებ.

ვერსალის ხელშეკრულობის გარშემო.

გერმანიას უფლება აქვს უარყოს პარიზის დადგენილებანი, რამდენათაც კი ეს დადგენილებანი ეწინააღმდეგება ვერსალის ხელშეკრულების პირობებს, მაგრამ ამავე დროს გერმანიის კონტრ-წინადადება არ უნდა გამოდიოდეს ამ ხელშეკრულების ფარგლებიდან. ყოფილმა მინისტრმა რანტუმ ამის შესახებ ერთ-ერთ კორესპონდენტს განუცხადა: იმედი მაქვს რომ ფხიზელი აზრი გაიმარჯვებსო.

ანგორა და ანტანტა

ოსმალეთის დიდი ეროვნულ ყრილობის მთავრობის საგარეო საქმეთა საგარეო კომისარმა საქართველოში და ადერბეიჯანში მყოფ ანგორის წარმომადგენლობას აცნობა, რომ მან რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ჩიჩერინს შემდეგი ნოტის ასლი გაუგზავნა. „ბატონო კომისარო, მაქვს პატივი გაცნობოთ თქვენ ის ახალი ნოტა, რომელიც გაუგზავნეთ ჩვენ ანტანტის სახელმწიფოებს": 1921 წლის 29 იანვრის თარიღით ცნობის დამატებათ, მაქვს პატივი წარმოვადგინო თქვენს საყურადღებოთ შემდეგი: მხოლოდ ოსმალეთის დიდი ეროვნულ ყრილობის მთავრობას აქვს უფლება განაგოს და ილაპარაკოს ოსმალეთის სახელით. თავისუფლათ და კანონიერათ არჩეული დიდი ეროვნული ყრილობა არის ოსმალეთის ხალხის ბედის ერთად ერთი გამგებელი. თვით მისი დაარსება და იურიდიული საფუძვლები გეცნობათ თქვენ 1920 წლის მაისის დასასრულს. ვეყრდნობით რა ამას, მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ ყოველ გვარი იმ საკითხის განხილვა და გადაწყვეტა, რომელიც ოსმალეთს ეხება, შეიძლება მოხდეს მხოლოდ ოსმალეთის კანონიერ მთავრობის საშუალებით, რომლის ბინადრობა არის ანგორაში. ეგრეთ წოდებული სტამბოლის მთავრობა არა თუ არ არის ხალხის წარმომადგენელი, არამედ იგი არ წარმოადგენს თვით სტამბოლს, სადაც იგი ბინადრობს, მაშასადამე არც ერთ აქტს, რომელსაც ეს მთავრობა აწერს ხელს არა აქვს მომავალი და უმნიშვნელოა. მიუხედავათ იმ უნდობლობისა, რომელსაც იწვევს ჩვენში სევრის ხელშეკრულების შემქმნელთა პოლიტიკა, ჩვენ, რომლებიც ვხელმძღვანელობთ მხურვალე სურვილით—მოუღოთ ბოლო კაცობრიობის ტანჯვას, გულწრფელათ შეუწყოთ ხელი მშვიდობიანობის აღდგენას. ვართ რა დარწმუნებული ევროპის საზოგადოებრივ აზრის სამართლიანობაში, დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა აცხადებს, რომ იგი მზათ არის გააგზავნოს თავისი რწმუნებულები ლონდონის კონფერენციაზე, თუ მოწვევა ამ კონფერენციაზე მიმართული იქნება პირდაპირ დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხისმგებლობას იმ გაუგებრობის გამო, რომელიც შეიძლება მოყვეს ანტანტის ასეთ საქციელს, ჩვენ ვაკისრებთ მოკავშირე სახელმწიფოებს, რისი მოწმეც ისტორიის წინაშე იქნება მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი.

ბეკირ სამი, ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი. ამ ნოტის ასლი გადაეგზავნა ყველა მთავრობებს.

სპარსეთის საკონსულოში.

თანახმად სპარსეთის საკონსულოში ტეჰერანიდან მოსული ცნობებით შუა მარტში განზრახულია სპარსეთიდან ინგლისის ჯარების ევაკუაციის მოხდენა. სათანადო განცხადება სპარსეთის მთავრობას ბრიტანიის სარდლობამ გაუკეთა. ინგლისის ჯარების სპარსეთიდან მესოპოტამიაში გაიყვანენ.

რკინის გზით მიმოსვლის აღდგენა საქართველოს და სპარსეთის შორის. ტფილისში მყოფ სპარსეთის გენერალ საკონსულოს მიერ აღძრულია საკითხი საქართველოსა და სპარსეთის შორის რკინის გზით მიმოსვლის აღდგენისა და ამისათვის ჯულფაში, ტფილისში არსებულ ტავრიზის რკ. გზის მოძრავ შემადგენლობის გაგზავნის შესახებ. ვინაიდან ამ საკითხის გადაწყვეტა ერთნაირად დამოკიდებული იყო საბჭოთა ოსმალეთის მართველობისაგან, ამიტომ სპარსეთის საკონსულომ მიმართა მათ სათანადო განცხადებით. ამ ჟამად საქართველოში მყოფმა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობამ აცნობა სპარსეთის გენერალურ კონსულს, რომ მისი მხრით აღნიშნულ რკინის გზით მიმოსვლას აღდგენას არავითარი დაბრკოლება არ მოელის თუ კი ამაზე დასთანხმდა საქართველოს მთავრობა და ოსმალეთის სარდლობაო.

თანახმად სპარსეთის გენერალურ საკონსულოს განცხადებით, მას ასეთივე თანხმობა მიღებული აქვს ოსმალეთის სარდლობისაგანაც. საკონსულო ფიქრობს, რომ ტავრიზის რკინის გზის მოძრავ შემადგენლობის ჯულფაში გადატანა დაუდებს საფუძველს საქართველოსა და სპარსეთის შორის წესიერ მიმოსვლის აღდგენას და შექმნის შესაძლებლობას საქართველოდან სპარსეთში ევროპის ბაზრების საქონლის გადატანისას და ამავე დროს საქართველოში სპარსეთის პურის შემოტანისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს გარეშემო

დე-ბრიუკერი საქართველოს შესახებ.

სენტ-ჟილის სახალხო სახლში დე-ბრიუკერმა მუშებისათვის წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე „საქართველო-პირველი სოციალისტური რესპუბლიკაა" ლექციაზედ მოწვეულნი იყვნენ ქალაქის ყველა შეკავშირებული მუშები. ლექციის დროს ისმენელთ აჩვენებდენ სურათებს. დე-ბრიუკერი ფიქრობს ამგვარივე მოხსენების წაკითხვას ბელგიის სხვა ქალაქებშიც.

რენოდელის წერილი კავკასიის მდგომარეობის შესახებ.

გაზ. „თავისუფალ საფრანგეთში" მოთავსებულია პიერ რენოდელის წერილი ამიერ კავკასიის მდგომარეობისა და საფრანგეთის პოლიტიკის მიზნების შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ მოკავშირეებმა უნდა იცნონ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობა, ხელი შეუწყონ მათ დაახლოვებასა და ფედერატიულად შეკავშირებასო.

ახალი ამბები

◆ **დახმარება დასახიჩრებულთ.** შრომის სამინისტრო შევიდა მთავრობაში შუამდგომლობით დართოს სოციალურ დახმარების კომიტეტს უფლება მისცეს დასახიჩრებულ ჯარის კაცებს და მათ ოჯახებს, დახმარება თანახმად იმ მოწმობებისა, რომლებსაც მისცემს აღნიშნულ პირებს საქალაქო თუ საერობო თვითმართველობები.

◆ **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** ხუთშაბათს, 10 თებერვალს, საღამოს 7 საათზე ეროვნულ (ყოფილ ფრეილინის) ქუჩ., № 11, შესდგება საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების საზეიმო სხდომა საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო.

◆ **სახელმწიფო გადასახადები.** თანახმად ფინანსთა სამინისტროს წინასწარ ცნობების გასულ 1920 წლის განმავლობაში პირდაპირი გადასახადის სახით 211.388.555 მანეთი შემოსულა. ეს შემოსავალი თვეების დამიხედვით შემდეგ ნაირათ ნაწილდება: იანვარში შემოსულა—18.500.000 მანეთი, თებერვალში—10.118.000 მანეთი, მარტში—8.107.000 მანეთი, აპრილში—7.385.000 მან. მაისში—4.761.000 მან. ივნისში—6.800.000 მან. ივლისში—5.700.000 მანეთი აგვისტოში—6.450.000 მან. სექტემბერში—13.500.000 მ. ოქტომბერში—32.127.000 მან. ნოემბერში—37.317.000 მან. და დეკემ.—62.185.000 მან. შემოსავალი პირდაპირი გადასახადის ხაზით იზრდება წლის დასასრულში. 1919 განმავლობაში პირდაპირი გადასახადის სახით სულ—388 მილ. მანეთი შემოვიდა.

◆ **ნავთის წარმოება.** ნავთის ამოღების ახალ საზოგადოების საორგანიზაციო კომისიამ დაასრულა იმ ხელშეკრულების პროექტის დამუშავება, რომლითაც უნდა შეეკრას საზოგადოება მთავრობას. ხელშეკრულების პროექტი მოკლე დროში გადაეცემა მთავრობას განსახილველათ.

◆ **სასოფლო სამეურნეო კოოპერატიული საზოგადოება.** მუშათა სასახლეში, დაბალ მოსამსახურეთა პროფ. კავშირის შენობაში შესდგა კრება ახალ „ქართულ პირველ სასოფლო სამეურნეო კოპერატიულ საზოგადოების მეურნისა", ამ კრებაზე არჩეული იქნა გამგეობა, რომელსაც დაევალა აიღოს იჯარით ბორჩალოს მაზრაში და სხვაგან თავისუფალი მიწები დასამუშავებლათ.

მადლობა. განათლების სამინისტრომ მადლობა გამოუცხადა კინო-წარმოების მოსამსახურეთ საქართველოს იურიდიულად ცნობის დღესასწაულის დღეს განსაკუთრებული ენერგიისთვის და ზეიმის სათანადოდ გადაღებისა და იმავე საღამოსვე ეკრანზე ჩვენებისათვის.

შეცდომის გასწორება.

რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგად. ბათომის კანტორის განცხადებაში, რომელიც დაიბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკა"-ს №№ 14, 15 და 16 შეცდომით დაბეჭდილია: 1 პუნქტები № 6393759—უნდა იყოს: № 6393769; 2 პუნქტში: №№ 58881116 და 581261—უნდა იყოს: №№ 5881116 და 5881261.

საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის გამო

მისალმებანი

საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიული ცნობის გამო დამფუძნებელი კრების თავმჯდომარისა, მთავრობის თავმჯდომარისა, სამხედრო მინისტრისა, შინაგან საქმეთა მინისტრისა, და სხვების სახელზე მრავალი მისასალმებელი დეპეშები მოდის. სამხედრო მინისტრის სახელზე დეპეშები მოვიდა ლაგოდეხიდან, ყაზბეგიდან, ოზურგეთიდან, ტყვიბულიდან და ახალ ქალაქიდან. მთავრობის თავმჯდომარის სახელზე დეპეშები მოვიდა: სკრიდან, თფილისიდან, ზესტაფონიდან, ქუთაისიდან, საჩხერიდან, გომიდან, ახალციხიდან, ქუთაისიდან—პროფესიონალურ კავშირებისაგან, სამტრედიიდან—ქალაქის თვითმართველობისაგან, ლაგოდეხიდან—ადგილობრივ ერობისაგან, თბილისიდან—სომხების სამღვდელოებისაგან, ძველ-სენაკიდან—სახალხო ყრილობისაგან, გურჯისტანიდან—ადგილობრივ თემისაგან, სუმბათოვიდან—სოციალ-დემოკ. კოლექტივისაგან, ლაგოდეხიდან—ქართული სცენის მოყვარეებისაგან, ვარანცოვკიდან—სახალხო გვარდიის ბათალიონისაგან, გომიდან—სახალხო ყრილობისაგან, აბასტუმანიდან—სოც. დემ. ორგანიზაციისაგან. ჭიათურიდან—სახალხო ყრილობისაგან, ხონიდან—მიწის მზომელთა პროფ. კავშირისაგან, თფილისიდან—საავიაციო როტიდან, ზესტაფონიდან—უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლისაგან, ეკატერინოვკიდან, ხონიდან, წესიდან და ზუგდიდიდან—ერობებისაგან, სამტრედიიდან—ახალგაზრდა მარქსისტების ორგანიზაციიდან, ტფილისიდან—მეურნეს კოოპერატიული საზოგადოებისაგან, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისაგან.

— რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს 6 თებერვალს სასახლეში ეახლენ და მოულოცეს საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულათ ცნობა შემდეგ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა:

1) დიდი ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა სტოკსმა, 2) საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა შევალიემ, 3) საფრანგეთის სამხედრო წარმომადგენელმა პოლკ. კორბეილმა, 4) გერმანიის დიპლ. წარმომადგენელმა რაუშერმა. 5) იტალიის ელჩმა ჩერრუტიმ. 6) იტალიის კონსულმა ფრანზონიმ. 7) რ. ს. ფ. ს. რ. დიპლ. წარმ. შეინმანმა. 8) ამერიკის დამხმარე კომიტეტის წარმომ. ელვერგმა. 10) ოსმალეთის დიდი ნაც. ყრილობის წარმომადგენელმა ქიაზიმ-ბეიმ. 11) პოლონეთის რესპუბლ. წარმომად. ოსტროვსკიმ. 12) ნიდერლანდიის ვიცე-კონსულმა ფონ ალენ შტეინმა. 13) ნორვეგიის კონსულმა სონდლომ. 14) ისპანიის ვიცე კონსულმა ბარსეგიანმა. 15) საბერძნეთის წარმომად. სკეფერისმა. 16) ფინლიანდიის დიპლ. წარმომადგ. პოლკოვ. ბერქვისტმა. 17) ჩეხო სლოვაკის ნაც. საბჭოს წარმომ. სვატოშმა. 18) სპარსეთის გენერ. კონსულმა მოდა-ზეტ-დოვლემ. 19) ადერბეიჯანის საბჭოთა რესპ. დიპლ. წარმომ. ნადჟაფოვმა. 20) სომხეთის საბჭოთა რესპ. დიპლომ. წარმ. შავერდოვმა. 21) სომხეთის დიპლომ. წარმომად. კაცენსმა 22) ესტონიის კონსულმა პაულმა. 23) ლატვიის კონსულმა დაილიდემ. 24) ასურეთის საბჭოს წარმომადგენელმა.

დღესასწაული სოხუმში

საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობა დიდი ზეიმით იდღესასწაულა ქალაქმა. თავისუფლების ქუჩაზე გამწკრივებული იყო მთელი გარნიზონი. დიდძალ ხალხის თანადასწრებით აბხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარემ ემუხვარმა წაიკითხა ტფილისიდან მოსული დეპეშა საქართველოს იურიდიულათ ცნობის შესახებ. ამის საპასუხოდ გასროლილ იქმნა რამოდენიმეჯერ ტყვიისმფრქვეველებიდან. ამავე დროს ნავთსადგურში მყოფი იტალიის გემი „იუნო" შეიკაზმა დროშებით და ზეიმს რამოდენიმე გასროლით მიესალმა. შემდეგ შესდგა მიტინგი, რომელმაც შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: „სოხუმის მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელმაც მოისმინა კომისარიატის თავმჯდომარის ცნობა საქართველოს იურიდიულათ ცნობის შესახებ, უგზავნის სალამს მთელ მთავრობას, რომელმაც შესძლო მიუხედავათ მტრების წინააღმდეგობისა მიეყვანა ქართველი ხალხი და ახალგაზრდა რესპუბლიკა დამოუკიდებელ არსებობის ცნობამდე, რასაც ერის ცხოვრებაში მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. აბხაზეთის მცხოვრებლებს ჯარსა და გვარდიას სწამთ, რომ ამიერიდან თავისუფალი და დამოუკიდებელი რესპუბლიკა შეუდგება იმ ჭრილობების მორჩენას, რომელიც მიაყენა მას მსოფლიო ომმა და საერთო არევ დარევამ. საქართველოს დემოკრატია ზეიმით აცხადებს მთელი ქვეყნის წინაშე, რომ იგი მკაცრობრიობის განახლების საქმეში შეიტანს თავის წვლილს. „ეს დეპეშა მთავრობის თავმჯდომარეს გაეგზავნა. ამავე დღეს შესდგა ქალაქის თვითმმართველობის საზეიმო სხდომა. სხდომამ შემდეგი დადგენილებანი მიიღო: 1) გაიღოს 500.000 მან. სოხუმის ღარიბეს მცხოვრებთათვის დახმარების აღმოსაჩენათ, 2) 27 იანვრის აღსანიშნავათ დააარსოს სტიპენდიები სახელმწიფო უნივერსიტეტში, 3) დაერქვას სოხუმის ერთ ერთ ქუჩას 27 იანვრის სახელი. დასასრულ გადაწყდა გაეგზავნოს დეპეშა მთავრობის თავმჯდომარესა და დამფუძნებელ კრების თავმჯდომარეს.

მუშათა ცხოვრება

სეკრეტარიატმა დაადგინა თავდაცვის ფონდს შესწიროს 50,000 მანეთი. ამასთანავე გადასწყვიტეს პროფეს. კავშირთა საბჭოში განიხილონ ტფილისის მუშათა შორის ფულის შეკრების მოწყობის საქმე. სეკრეტარიატის წევრებმა ფონდის სასარგებლოთ გაიღეს ერთი დღის ხელფასი.

— ელექტრიკების კავშირმა პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატს მიმართა თხოვნით, რათა მან თავდაცვის საბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა კინემატოგრაფების გახსნის შესახებ. კინემატოგრაფები დახურულია სათბობი მასალის ეკონომიის მიზნით. ელექტრიკების კავშირი აღნიშნავს, რომ კინემატოგრაფების დახურვის გამო, თითქმის ასი კაცი დარჩა უმუშევრათ. კავშირი ითხოვს, რომ მათ მისცენ ელექტრონის განსაზღვრული ენერგია. საბჭოს სეკრეტარიატმა დაადგინა სათანადო შუამდგომლობა აღძრას თავდაცვის საბჭოს წინაშე.

— სეკრეტარიატმა ანგარიში გაუწია რა იმ დიდ დეფიციტს, რომელიც მოსდის სახელმწიფო თეატრებს მუშათა წარმოდგენების გამართვის დროს (200,000 მანეთამდე ყოველ საღამოს) დაადგინა ბილეთების ფასი გაადიდოს 100 მანეთამდე. ამასთანავე სეკრეტარიატმა აღნიშნა აუცილებლობა იმ საკითხის გადახილვისა, რომელიც მუშათა შორის ბილეთების განაწილებას შეეხება. ამ საკითხის განხილვისას გამოირკვა, რომ ზოგიერთი პირი, რომელიც ბილეთს ღებულობს მუშათა წარმოდგენაზე დასასწრებლათ, ყიდის მას გარეშე სიზოგადოებაზე. ამ მოვლენასთან საბრძოლველად სეკრეტარიადმა გადასწყვიტა წარმოდგენის დროს გასინჯოს ბილეთები: ამას გარდა ყოველმა კავშირმა წინ და წინ უნდა აღნიშნოს თავის წევრებისათვის დარიგებული ბილეთები.

გზატკეცილების და წყლით სავალ გზების ხელმძღვანელთა და დისტანციების უფროსთა ყრილობა

შესდგა გზატკეცილებისა და წყლით სავალ გზების ხელმძღვანელთა ყრილობა, რომელმაც შემდეგი მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა **მთავრობის თავმჯდომარეს:**

გზატკეცილების და წყლით სავალ გზების ხელმძღვანელნი და დისტანციების უფროსების პირველი ყრილობა აღსავსე სიხარულით და იმ ბედნიერებით, რომელიც წილად ხვდა ჩვენ ძვირფას სამშობლოს მისი საერთაშორისო ოჯახში სრულუფლებიან წევრად მიღებით, მოგესალმებათ თქვენ, ქართველი ერის საამაყო ბელადს, რომელსაც წილად გვხდათ ქართველი ერის იდეალების განხორციელება, და ჩვენ, რესპუბლიკის მორიგე მუშაკნი, მზათავართ მივიტანოთ ჩვენი წვლილი სამშობლოს ეკონომიურად აღორძინების სამსხვერპლოზედ.

„გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა რბილისა".

მთავარსარდალს:

სალამი ჩვენს საგუშაგოზე მდგომ გმირებს: სახელოვან ჯარს და გვარდიას. საქართველო ზეიმობს გამარჯვებას და თავისუფლების განმტკიცებას; ის უკვე საერთაშორისო ოჯახის სრულუფლებიანი წევრია.

თქვენ მოუპოვეთ ქართველ ერს თავისუფლება, თქვენ განამტკიცეთ ჩვენი არსებობა და ჩვენც თქვენ ზურგში მყოფნი, მორიგე მუშაკნი, თქვენთან ვართ მთელი ჩვენი ცოდნით და ენერგიით.

სენატი

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საჯარო სხდომაზე 1921 წ. თებერვლის 11-ს განსახილველად დანიშნულ საქმეთა ნუსხა.

(სხდომის გახსნა დილის 10 საათზე).

1. საქმე ვიქტორ და ილია ასათიანების სარჩელის გამო ევდოკია ზოტოვისასთან 17000 მანეთის თაობაზე.
2. საქმე ჩიტო ჩხეიძის სარჩელის გამო ტფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოებასთან 4500 მანეთის თაობაზე.
3. საქმე მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონების ქუთაისის სამმართველოს რწმუნებულის საჩივრის გამო ჭიათურის სასამართლო ბოქაულის მოქმედებაზე ბიჭია ბრეგვაძის მამულის საჯარო ვაჭრობით გაყიდვის თაობაზე.
4. საქმე გრიგოლ ბერიას სარჩელის გამო ბახვა ჯიქიასთან გზის თაობაზე.
5. საქმე ვასაკი კირკიტაძის სარჩელის გამო ერმილე ბაკურაძესთან, გიორგი და ანნა აფრიდონიძეებთან უძრავი ქონების თაობაზე.
6. საქმე კიმოთე, კიპრიანე და დიონისთა ქვანიების სარჩელის გამო გიდა, კუდა, გოგო, სვიმო, არსენ და ივანე ახალაიებთან მამულზე სარგებლობის აღდგენის თაობაზე.

ბათომი.

— საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის აღსანიშნავ დღესასწაულმა 6 თებერვალს ბრწყინვალედ ჩაიარა. დამოუკიდებლობის მოედანზე გაიმართა დიდი მიტინგი. მიტინგს დაესწრენ აუარებელი მუშები, მოწაფეები და ხალხი. მიტინგი გახსნა გ. ანჯაფარიძემ. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს საგანგებო რწმუნებულმა გ. გიორგაძემ, პროფესიონალურ საბჭოთა თავმჯდომარემ, გრ. აიოლომ, ირ. დიდიძემ, ა. ანგულაძემ, კაპ. გოგოლაძემ და პეტროსიამა (დაშნაკელების პარტიიდან.) ქალაქს ზეიმის ელფერი ედო ქუჩებში გაიმართა მანიფესტაციები.

— განსაკუთრებულ ბრძანებით ბათომის ყველა კლუბები და თეატრები უნდა იკეტებოდეს ღამის 11 საათზედ.

— საგანგებო რწმუნებულმა გ. გიორგაძემ განკარგულება გასცა, რათა კონსტანტინოპოლიდან ჩამოსულ მგზავრს, რომელთაც არ აღმოაჩნდებათ საჭირო საბუთები და საქართველოს კონსულიდან მიცემული ვიზები ნება არ ექნება საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრებისა.

— 5 თებერვალს გუდაუთიდან მოვიდა მოტორი „გედი" 4 თებერვალს კონსტანტინოპოლისკენ გავიდა გემი „როსსული".

— ქართველ სტუდენტთა ტრადიციული დღე ბათომში გაიმართა 5 თებერვალს.

პოლიციაში

5 თებერვალს ელისაბედ ალექსანდრეს ასულმა ადლერმა მცხოვრებმა ნიკოლაევის ქუჩ. სახ. № 27 განაცხადა სისხლის სამართლის მილიციაში თავის ბინაზე ქურდობის შესახებ ოქროს, ვერცხლის და ფულისა სულ ერთი მილიონი მან.

მოსულმა სისხლის სამართლის მილიციის მოხელეებმა გამოარკვიეს რომ ქურდობა ჩაიდინა მიკირტიჩ აკოპის ძე ტერ-საკიანცმა, აკოპ სეროპოვიჩმა პეტროსიანცმა და მიკირტიჩ კარაპეტის ძე მარტიროსიანცმა, რომლებიც 7 თებერვალს შეიპყრეს და ქურდობაში გამოტყდნენ და განაცხადეს რომ მათ მიერ მოტაცებული ნივთები მიყიდეს სედრაკ სარქისის ძე ტარტანოზოვს, რომელიც უკვე დაკავებულია და გამოტყდა ნაპარავ ნივთების ყიდვაში. ნაწილი ნივთებისა აღმოაჩინეს მის ბინაზე და ნაწილიც მან მოატრო გაყიდვა უცნობ პირებზე, რომლების ჩვენება მან ვერ შესძლო. დაკარგულ დანარჩენ ნივთების აღმოსაჩენათ მიღებულია ზომები. დაკავებულები დაპატიმრებული არიან და კვლევა ძიების საქმე გადაეცა სასამართლოს.

როგორ სდევნიდა რუსეთის მონარქიული ცენზურა საქართველოს ინტერესებს.

კავკასიის ცენზორის კომიტეტი სასტიკათ სდევნიდა საქართველოს და ქართველ ერის ინტერესებს. საქართველოში შესვლის დღიდანვე რუსებმა მიზნათ დაისახეს ქართველების მოსპობა, ეროვნულად გადაგვარება, ანუ

გარუსება, ამიტომ ისინი საქართველოში უარს ჰყოფდენ ქართველ კათოლიკეთა არსებობას, ქართველ ებრაელთა, ქართველ მაჰმადიანთა და ამ გვარათ იმედოვნებდენ, რომ ქართველს ერს ჯერ ამ ხალხებს მოვაშორებთ, მერე სხვებსა და ბოლოს მათი გარუსებაც ადვილი იქნებაო. ამიტომ მკითხველს გავაცნობთ ქართველ ებრაელთა საქმეს, თუ რუსეთის მთავრობის ბრძანებით მათავე ცენზორა როგორ სდევნიდა ქართველ ებრაელებს და როგორ ზღუდავდა ამათ შესახებ ყოველივეს, რომ მის საშუალებით ქართველ ებრაელთა შესახებ კამათი და კითხვები არ გაჩაღებულიყოს ქართულს მწერლობაში.

ამიტომ აქ მოვიყვანთ შემდეგ ამბავს, რაც კავკასიის ცენზორის კომიტეტშია მომხდარა და აქედან მკითხველი ადვილათ წარმოიდგენს იმ გარემოებას, თუ ქართველ ებრაელთა შესახებ ლაპარაკი როგორ უნდა ყოფილიყოს აკრძალული ქართულს მწერლობაში რუსეთის ცენზორებისაგან.

1886 წ. ცენზორის კომიტეტში წარვადგინე ნებართვის ასაღებათ ერთი ხელნაწერი წიგნი, სახელდობრ, ხმარობენ თუ არა ურიები ქრისტიანების სისხლს, პროფესორის ხვოლსონისა, რუსულიდან ნათარგმნი ქართულათ, წარდგენის შემდეგ, გავიდა ორი კვირა და მე მიველი კომიტეტში ხელნაწერის მისაღებათ. მისვლის შემდეგ ხელნაწერი მოვიკითხე, მალე მითხრეს, რომ თქვენი ხელნაწერი ცენზორის კომიტეტმა აკრძალაო.

ამ გარემოებამ მე გამაკვირვა, რადგანაც ქართულ დედანთან მე წარვადგინე რუსული დედანიც, რომელიც იმ დროსვე იყო დაბეჭდილი პეტროგრადში მესამეთ ღირდა 10 კაპ.

მე ვითხოვე ნება საქმის განსაჩივრება და ერთ დღეს ცენზორის კომიტეტში მიველი კიდეც. მაშინ კომიტეტის თავმჯდომარეთ მადზალევსკი გახლდათ და რუსული ენის უფროს ცენზორათ იყო ბეზბრაზოვი, კომიტეტში შესვლის უმალ მე ლაპარაკი დამიწყო რუსული ენის ცენზორ ბეზბრაზოვმა ასე:

— ბატონო ზაქარია, თქვენ აპირებთ ხვოლსონის წიგნის გამოცემას?

დიახ ვაპირებ, ვუპასუხე.

მერე მან მკითხა:

— ურიებმა, ანუ ქიდებმა ალბათ ბევრი მოგცეს ფული. მე მიუგე:

— „არასფერი, რისთვის უნდა მიეცათ იმათ ჩემთვის ფული. მან მკითხა:

— მაშ თქვენი ფულითა ბეჭდავთ მაგ წიგნს?

— „დიახ ჩემი ფულით ვბეჭდავ".

მერე კიდევ მომართა მან ასე:

— თუ კი შენი ფულით ბეჭდავ მაგ წიგნს, მაშინ მაგის მაგიერ თქვენ რატომ არ ბეჭდავთ პეტრე დიდის ცხოვრებას, ან ეკატერინე მეორისას".

მე მიუგე: თავის დროზე ჩვენ იმ წიგნსაც დავბეჭდავთ, ეხლა კი ამის დაბეჭდვა გვინდა. მან მომიგო.

— მაგ წიგნის დაბეჭდვა არ შეიძლება, შენ ქართველი კაცი ხარ, ქრისტიანი და არა გრცხვენიან, რომ მაგ წიგნს ბეჭდავ. შენ წაგიკითხავს კაგალის წიგნი ურიების და მაგ წიგნის შესახებ თუ არა, თუ არ წაგიკითხავს, წადი ჯერეთ ის წიგნი წაიკითხე და მერე ოდი და ილაპარაკე.

მე ვუპასუხე: მე კაგალის წიგნი არ წამიკითხავს, ჩემთვის საკმარისია პროფესორის ვოლსონის ავტორიტეტი. ცენზორმა მისცა ასუხი:

რა ვუყოთ, რომ პროფესორს თავის სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის კათედრიდან აუკითხავს მეცნიერულის აზრით, ის რაც ქ შეიძლება რუსულათ დაიბეჭდოს, ბევრი ამ აქ არ შეიძლება რომ ქართულათ დაიეჭდოს.

მე მიუგე პასუხათ: რასაკვირველია ჩვენვის, რაც რუსულათ იბეჭდება, იმის დაჭდვის ნებას ჩვენ არ გვაძლევთ. რაც რუბი არიან. ჩვენც ისეთივე ქვეშევრდომნი რთ და რატომ არ უნდა მოგვცენ ჩვენ ამ სარგებლო წიგნის დაბეჭდვის ნება.

მან კვლავ მიპასუხა:

— რუსებმა თავის ხელმწიფეც მოკლეს და ქვენც იზამთ მასა, თქვენ არ მოგცემთ მაგ გნის დაბეჭდვის ნებას, რადგანაც თქვენი ზანი სულ სხვა არის მაგ წიგნის დაბეჭვის გამო. მეც ვკითხე ეს მიზეზები, მან ეთი პასუხი მომცა:

აი თქვენი მიზანი რა არის მაგ წიგნის აბეჭდვისთვის; თქვენ მაგ წიგნით ჯერ რთველებს და ურიებს წააჩხუბებთ და მის რე თქვენ ასტეხავთ საზოგადო დიდ ბუნტს ჯის მთავრობის წინააღმდეგ, აი ეს არის თქვენი აზრი და ამიტომ ლაპარაკი მეტი აქ აღარ შეიძლება.

ასე გათავდა საქმე და ხელნაწერი აღარ მომცეს, წამართვეს და აკრძალეს. მე მაინც არ დავტოვე და ეს საქმე პეტერბურგში პროფესორს ხვოლსონს ვაცნობე, ქართული დედანიც მას გაუგზავნე, მან პეტერბურგის ცენზორს ნება დაართვევინა და ხელთნაწერი ნება დართული მომივიდა, მე მაინც გამოვეცი ეს წიგნი. მერე აქაური კომიტეტი ამიტყდა და ჩივილს მიპირებდენ, მაგრამ შერცხვათ და თავი დამანებეს. ის კი ქმნეს, რომ იმ დრომდამ პეტროგრადში, მოსპეს ქართული წიგნების ცენზორების საქმე.

ზ. ჭ.

S. P. **მინაწერი:** ქართველ ებრაელთა დევნა რუსეთის მონარქიული ცენზორებისაგან შემდეგის გარემოებითაც მტკიცდება. ტფილისში ებრაელებს ჰქონდათ „ყასპის დუქანი", რომელსაც ზედ სახელათ ეწერა რუსულათ „ყასპის დუქანი ქართველ ებრაელთა". რუსის მთავრობამ ეს აუკრძალა და უბრძანა, რომ დუქანს დააწერეთ „ყასპის დუქანი კავკასიის ებრაელთაო". ამიტომ მთავრობამ მათ დახმარებაც დაჰპირდა, ურიებმაც შეასრულეს ეს და ქართულის მაგიერ კავკასიის უწოდეს.

ზ. ჭ.

დედანს აწერია: „ვამტკიცებ" ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი ს. **ავალიანი.**

დედანთან სწორეა ფინან. სამ. საკრედიტო ნაწილის საქმის მწარმოებელი **ვ. ცეხანოვსკისა.**

წესდება

სამეგრელოს სავაჭრო - სამრეწველო ბანკისა.

(მეგრ-ბანკი).

I, დაარსება და კაპიტალი ბანკისა.

§ 10.

ბანკის აქციები, აქციონერთა სურვილისამებრ შეიძლება იყოს სახელობითი ანუ უსახელონი. ყველა აქცია უნდა იყოს ამოჭრილი წიგნიდან, საცა რჩება ტალონი. აქციას ეძლევა პატრონს დანომრილი და ხელმოწერილი გამგეობის სამი წევრისა, ბუხჰალტერისა და მოლარის მიერ, თან ბეჭედ დაკრული. თითოეულ აქციას დაერთვის კუპონების ფურცელი დივიდენდის მისაღებად ათი წლის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ აქციის პატრონს მიეცემა ახალი ფურცელი კუპონებისა.

§ 11.

გადაცემა ბანკის უსახელო აქციებისა ერთისაგან მეორეს ხელში არავითარ ფორმალობის შესრულებას არ მოითხოვს და ბანკს უსახელო აქციის პატრონად მუდამ ის მიაჩნია, ვის ხელშიაც აქცია არის; სახელობითი აქციების გადაცემა კი უნდა ეცნობოს ბანკის გამგეობას, რომელსაც უნდა წარუდგინონ თვით აქციები და იმან უნდა გადასცეს ახალ პატრონს.

§ 12.

აქციონერის სიკვდილის შემდეგ მისი უფლებები გადადის მის მემკვიდრეებზე კანონისა ან ანდერძისამებრ, ხოლო არავითარი შემთხვევაში თითოეული აქცია არ ექვემდებარება განაწილებას.

§ 13.

II. ბანკის ოპერაციები.

სამეგრელოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკს ნება აქვს აწარმოვოს შემდეგი ოპერაციები:

ა) განაღდება როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის ვექსილებისა და ყველა სხვა ვაჭრულ გარიგებაზე დამფუძნებულ ვალდებულების ქაღალდისა ვადით არა უგვიანეს ცხრა თვისა და აგრეთვე განაღდება (გადაგირავება) ბანკის მიერ განაღდებული ვექსილებისა და ვალდებულების ქაღალდებისა, რომლებზედაც ბანკის ბლანკი უნდა იყოს წარწერილი;

ბ) წარმოება სესხისა და კრედიტის გახსნა ვადით არა უგვიანეს ცხრა თვისა და აგრეთვე სპეციალ მინდინარე ანგარიშისა კონტოკორენტის სახით:

1) გირავნობის ქვეშ სახელმწიფო პროცენტიანი ქაღალდებისა, პაებისა, აქციებისა, ობლიგაციებისა და გირავნობის ფურცლებისა, ისე რომ სესხი არ უნდა აღემატებოდეს ოთხმოცდაათ პროცენტს (90%) მათი საბირჟო ფასისას;

2) გირავნობის ქვეშ კონოსამენტებისა, საქონლის საწყობის მოწმობებისა (ვარანტებისა) საქონლის გადასაზიდავ ბარათებისა და სატრანსპორტო კანტორათა, რკინის გზათა, ელევატორთა და სანაოსნო საზოგადოებათა კვიტანციებისა იმ საქონელზე, რომელიც ადვილად არ გაფუჭდება. ამ შემთხვევაში გაცემული სესხი არ უნდა აღემატებოდეს ორ მესამედს $^2/_3$ ამა საქონლის ღირებულებისას და ეს უკანასკნელიც უნდა იყოს დაზღვეული ათი პროცენტით მეტ ფასში, ვიდრე გაცემული სესხი და აგრეთვე დაზღვევის ვადაც ერთი თვით მაინც მეტი უნდა იყოს სესხის ვადაზედ და დაზღვევის პოლისებიც ბანკში უნდა ინახებოდეს.

3) გირავნობის ქვეშ ადვილად გაფუჭებული საქონელთა, ხოლო გაცემული სესხი არ უნდა აღემატებოდეს ამა საქონელთა ღირებულების ორ მესამედს ($^2/_3$) და თან ეს საქონელი უნდა დაწყობილ იყოს ცეცხლისაგან უშიშარ და ქეთილსაიმედო, გამგეობის აზრით, შენობაში და აგრეთვე დაზღვეული უნდა იყოს არა ნაკლებ ათი პროცენტით მეტ ფასში, ვიდრე გაცემული სესხი, ვადაც დაზღვევისა ერთი თვით მაინც მეტი უნდა იყოს, ვიდრე ვადა სესხისა, პოლისიც ბანკში უნდა ინახებოდეს და ქირა შენობისა, საცა საქონელია შენახული, ერთი თვისა მეტი უნდა იყოს გადახდილი, ვიდრე სესხის ვადა;

4) გირავნობის ქვეშ ძვირფას ლითონთა და ოქროს მისაღებ ასიგნოვკათა, რომელზედაც გაცემული სესხი არ უნდა აღემატებოდეს ოთხმოცდაათ პროცენტს (90%) დასაგირავებელ ლითონის დაკანონებულ (და არა საბირჟო) ღირებულებისას.

შენიშვნა 1. სესხის გაცემის და კრედიტის გახსნის დროს გირაოს ქვეშ, რომელიც ამა პარაგრაფის, ბ მუხლის 2 და 3 დანაწილებაში აღნიშნულია, ვადით არა ნაკლებ ორი თვისა, რაოდენობა ამა სესხისა და კრედიტისა შეიძლება გადიდებულ იქმნას გამგეობის და საბჭოს ერთხმივ გადაწყვეტილებით გირაოს ღირებულების 80% მდე. ნუსხას საქონლისა და საქონლის საბუთებისა, რომელთა ქვეშ შეიძლება გაიცეს სესხი და გაიხსნას კრედიტი აღნიშნულ გადიდებულ რაოდენობით, ამტკიცებს ფინანსთა მინისტრი.

შენიშვნა 2. ბანკს ნება აქვს, განსაკუთრებულ შემთხვევაში, საბჭოს ნებართვით, დაიგირაოს საქონელი და დასტოვოს იგი შესანახად დამგირავებლის ხელშივე, ხოლო ვალდებულება კი უნდა ჩამოერთვას, რომელშიაც ნამდვილად უნდა იყოს აღნუსხული საქონლის რაოდენობა და ბინა, სადაც ის ინახება, თან დამგირავებელმა უნდა იტვირთოს კანონით დაწესებული პასუხისმგებლობა შესანახად აღებული საქონლის უკლებლობისათვის. პირველშივე დამგირავებლისაგან განსაზღვრული და ბანკის მიერ შემოწმებული საქონლის შედგენილობა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ბანკის წერილობით ნებართვით.

გ) მიღება ფულის ბანკისადმი გადაცემული ვექსილებით, ვადიან საბუთებით და პროცენტიან ქაღალდებით.

განცხადებანი

საყოველთაოდ ცხადდება, რომ თანახმად ქუთაისის ოლქის სასამართლოს რეგისტრაციული განყოფილების 25 ივნისის 1920 წ. დადგენილებით, შეტანილია ნუსხაში, წესდება დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკის დაარსებული ქუთაისში.

0596 1—1

დაიკარგა ტფილისის ქალაქის ლომბარდის კვიტანცია № 162048 500 მანეთისა. გაუქმებულათ ჩაითვალოს.

493 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 3512 ეკატერინე ბაბასოვას სახელზე, მიღებული ტფ. პოლიტეხნიკუმიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.

489 1—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 1 ბოგდან გალუსტის ძე ოვანესიანის სახელზე, მიღებული ახალ ქალაქის მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან 1902 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს.

497 1—1

ეკატერინე ბაგდანის ასული კასპაროვისა აცხადებს, რომ მისი ქმარი არშაკ არაქელის ძე კასპაროვი, რომელიც ექვსი თვეა წავიდა ტფილისიდან საქიმოთ, აღარსად სჩანს და თუ ვინმემ იცის მის შესახებ რაიმე, სთხოვს აცნობოს ახალი საპების ქ. № 29.

364 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი ილია გრიგოლის ძე სპექტორის სახელზე, მიღებული ქ. ოდესაში. გაუქმებულად ჩაითვალოს.

491 1—1

დაიკარგა მორიგი ჯარში გამწვევი უწყება № 37 ალექსი ანასტასის ძე ანასტასოვის სახელზე, მიღებული მე 6 უბნ. კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვლოს. 476 1—1

ჰყონდიდ შემოქმედის საეპარქიო სასამართლო ამით აცხადებს, რომ 1920 წ. დეკემბრის 15-ს შემოსულია თხოვნა ქ. ფოთში მცხოვრების გიორგი პავლეს ძის მეუნარგიასი განქორწინებაზე მეუღლე ვალენტინა ივანე რიაბჩიკოვის ასულთან. მოხსენებული მეუღლენი, მთხოვნელის განცხადებით, არიან დაქორწინებულნი 1911 წ. თებერვლის 11-სიმბირის გუბერნიის ქ. სიზრანის ეკლესიაში. როგორც თხოვნაშია აღნიშნული, ვალენტინა მეუნარგიასი წასულა ქ. ფოთიდან 1914 წელში ქმრის ომში ყოფნის დროს. მას შემდეგ არა აქვს მასზე არავითარი ცნობა. ამ განცხადების ძალით ყველა ვინც კი იცის ვალენტინა ივანეს ასულის მეუნარგიას საცხოვრებელი ადგილი. ვალდებულია აცნობოს ეს ორი თვის განმავლობაში ჰყონდიდ-შემოქმედის საეპარქიო სასამართლოს ქ. ფოთში.

4ç1 3—1

დაიკარგა სამხედრო სამსახურის ნუსხა და პირადობის მოწმობა, მიღებული ზესტაფონის თემის გამგეობიდან ისაია ოქრუას ძე ბიბილაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.

498 1—1

დაიკარგა მოწმობა და ბარათი, მიღებული ტფ. პოლიტეხნიკუმიდან ეკატერინე მიხეილის ასული ერისთავის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.

503 1—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და საოჯახო პასპორტი მეიერ აბრამის ძე ბინოევის (იგივე ხახა მოშეშვილის) სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.

492 1—1

დაიკარგა პასპორტი № 9251, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრისაგან, სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და პირადობის მოწმობა სურათით, მიღებული რკ. გზის სამმართველოდან არშაკ დარჩიას ძე ტერ ოგანეზოვ (იგივე ჩამუკაშვილის) სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 496 1—1

დ იკარგა ტფ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტის მოწმობა № 314 1918|19 წ. ერვანდ ზაქარიანის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს.

501 1—1

ქართული მერძევეთა ამხანაგობა „განთიადი"-ს გამგეობა

ამით სთხოვს ამხანაგობის პაების მესაკუთრეთ და შემნახველებს, მობრძანდენ

საგანგებო საზოგადო კრებაზე,

რომელიც შესდგება ხუთშაბათს 1921 წ. თებერვლის 17-ს საღამოს 6 ს. კერძო ლომბარდის ბინაზე.

განსახილველი:

გამგეობის მოხსენება წარმოების ლიკვიდაციის შესახებ. იმ შემთხვევაში თუ კრება, საკმაო წევრთა გამოუცხადებლობის გამო არ შესდგა, მაშინ მეორე კრება გაიმართება ამავე დღეს საღამოს 7 ს., რომელიც კანონიერათ ჩაითვლება, რამდენი ამხანაგიც არ უნდა დაესწროს.

500 1—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.